საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6267
21/10/2022

6267-21-2-202210211037

შპს „ქუთაისის ქვის ქარხანას“
მის: ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. N19

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის №5023 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში. ახალგაზრდობის გამზ. N19-ში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილია ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ქვის საჭრელი დანადგარებისა და ქვის ჭრის ტექნოლოგიური პროცესის შესახებ, ამასთან, საწარმოში დაგეგმილია სამსხვრევ-დამახარისხებელი ტექნოლოგიური ხაზის განთავსება შემდგომში ნედლეულის დამუშავებისა და ღორღის დამზადების მიზნით, თუმცა განცხადება არ მოიცავს აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესის აღწერასა და ინფორმაციას დანადგარების შესახებ, რაც დეტალურად უნდა იყოს მოცემული სკრინინგის ანგარიშში;
- სკრინინგის განცხადება შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას, კერძოდ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საწარმოში დაგეგმილია წლის განმავლობაში 3000 $მ^3$ მოცულობის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება (ქვის მსხვრევა), ხოლო თავი 4.2-ში მოცემული ინფორმაციის თანახმად, წელიწადში გათვალისწინებულია 6 000 ტონა ქვის დამსხვრევა. წარმოდგენილი ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას, ამასთან, მონაცემი წარმოდგენილ უნდა იქნას ერთ განზომილებაში;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო წყლის წლიური რაოდენობა შეადგენს 180 000 $მ^3$-ს, საიდანაც 14 000 $მ^3$-ის მიღება მოხდება ატმოსფერული ნალექების წყლის შეგროვების შედეგად, ხოლო 4 000 $მ^3$-ის მიწისქვეშა ჰორიზონტიდან. წარმოდგენილი მონაცემები ურთიერთშეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო